ᲭᲠᲝᲚᲔᲗᲕᲐᲠᲔᲑᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ს.ა.ფ. ა. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ГБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
27 დეკემბერი
1939 წ.
№ 298 (5698)
ფასი 10 კაპ.

კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურმა ბლოკმა ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში. გაუმარჯოს ამ უძლეველ და მძლავრ ბლოკს, დაე კიდევ უფრო განმტკიცდეს იგი,—ხალხის საკეთილდღეოდ და მისი მტრების თავზარდასაცემად!

სტალინური ბლოკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვება

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები დამთავრდა. 24 დეკემბერს არასოდეს არ დაივიწყებენ მზიური საქართველოს მშრომელები. ამ დღეს მათ, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის — სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ადგილობრივ საბჭოებში აირჩიეს ხალხის ღირსეული შვილები, სამშობლოს თავდადებული პატრიოტები. სტალინურმა ბლოკმა ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში მთელს საქართველოში მონაწილეობა მიიღო 1.926.985 ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,49 პროცენტს უდრის. კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა 99-ზე მეტმა პროცენტმა.

ქალაქ თბილისში 311.635 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 310.678 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,7 პროცენტს უდრის. სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 307.468 ამომრჩეველმა, ანუ კენჭისყრაში მონაწილეთა 99 პროცენტმა.

ასეთივე არნახული წარმატებით ჩატარდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები მოკავშირე რესპუბლიკებში. სოციალიზმის დედაქალაქში—მოსკოვში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,81 პროცენტმა, ლენინგრადში—99,66 პროცენტმა, კიევში—99,5 პროც., მინსკში—99,97 პროცენტმა. კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა მოსკოვში არჩევნების მონაწილეთა 98,99 პროცენტმა, ლენინგრადში—98,82 პროცენტმა.

კენჭისყრის ეს შესანიშნავი შედეგები ერთხელ კიდევ ამჟღავნებენ ჩვენი ხალხის ურღვევ მორალურ - პოლიტიკურ ერთიანობას, ჯერ არნახულ ორგანიზებულობას და მაღალ პოლიტიკურ აქტივობას, მის მტკიცე დარაზმულობას ლენინ-სტალინის ძლევამოსილი პარტიის ირგვლივ, მშობლიური სტალინის ირგვლივ, მის განუსაზღვრელ ერთგულებას კომუნიზმის საქმისადმი, მის ულმობელ სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ეწმარიტად საყოველთაო-სახალხო ზეიმად გადაიქცა. ხალხი მიდიოდა არჩევნებზე, როგორც სახალხო დღესასწაულზე, მუსიკით, ცეკვა-თამაშით და სიმღერებით, ლხენითა და მხიარულებით. პირზე ბედნიერი ღიმილით, სტალინის სახელით გულში, ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის უდიდესი მადლობის გრძნობით მიდიოდნენ ამომრჩევლები საარჩევნო ყუთებთან და ბიულეტენებთან ერთად თან მიჰქონდათ უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, დიდი **სტალინისადმი.**

თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობა დიდ ბედნიერებად მიაჩნია. ამიტომ იყო, რომ ადრე დილით, ჯერ კიდევ არჩევნების დაწყებამდე, საარჩევნო უბნებისაკენ მიიჭარბოდნენ ქალაქისა და სოფლის მშრომელნი, საარჩევნო ყუთში ბიულეტენის პირველად ჩაშვებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქალი და კაცი, 18 წლის ახალგაზრდა ამომრჩევლები და მხცოვანი მოხუცები;

დიდი სტალინისათვის ხმის მიცემის საამაყო უფლების გრძნობით **№ 52** საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა საქართველოს დედაქალაქის — თბილისის საქალაქო საბჭოს პირველ დეპუტატად არნახული სიხარულითა და ერთსულოვნებით აირჩიეს თანამედროვეობის უბადლო ადამიანი, ახალი ცხოვრების შემომქმედი, ყველა ქვეყნის მშრომელთა და ჩაგრულთა იმედი, საყვარელი მამა და მასწავლებელი დიდი **სტალინი** და ამით მთელი საქართველოს ხალხის სანუკვარი სურვილები და ერთიანი ნება გამოხატეს; თბილისის მშრომელებთან ერთად მშობლიური სტალინის კანდიდატურას ხმა მისცა მთელი საქართველოს, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხმა.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად ერთსულოვნად არჩეულია აგრეთვე დიდი სტალინის ღირსეული თანამებრძოლი, მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი,** რომელსაც საბჭოთა კავშირის ხალხები უმადლიან თავდადებულ შრომას ჩვენი დიადი სამშობლოს განმტკიცებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის, კომუნიზმის დიადი საქმისათვის.

ასეთივე ერთსულოვნებით აირჩიეს თბილისის მშრომელებმა საქალაქო საბჭოს დეპუტატად ქართველი ხალხის ღირსეული შვილი, საბჭოთა დაზვერვის სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი **ლავრენტი პავლეს-ძე ბერია,** რომლის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა საქართველოს აყვავებისა და ქალაქ თბილისის სსრ კავშირის მოწინავე სანიმუშო ქალაქად გადაქცევის საქმე.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა ერთხელ კიდევ დაანახვა მთელ მსოფლიოს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ფოლადისებური სიმტკიცე. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაში ხალხმა წარგზავნა თავისი საუკეთესო შვილები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, სოციალისტური მრეწველობის, საკოლმეურნეო მინდვრების, კულტურის ფრონტის ხელმოხვეჭილი მუშაკები. უახლოეს დღეებში ახლად არჩეული საბჭოები შეუდგებიან მუშაობას; ახალი ძალით გაიშლება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შემოქმედებითი საქმიანობა, უფრო მძლავრი ნაბიჯით წავა წინ საქართველოს სოციალისტური სახალხო მეურნეობა, კიდევ უფრო მძლავრად აყვავდება კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება. კიდევ უფრო ძლევამოსილი ნაბიჯით გაეშურებიან მუშათა და კოლმეურნეთა მასები ბედნიერი, საამური ცხოვრების ახალი მწვერვალებისაკენ.

დიდად სასახელო და საპატიოა იყვე საბჭოთა ხალხის რჩეული დეპუტატი. მაგრამ ასევე დიდია დეპუტატის მოვალეობა თავისი ამომრჩევლების წინაშე. დეპუტატს მუდამ უნდა ახსოვდეს **ამხანაგ სტალინის** მითითება, რომ დეპუტატები უნდა „...დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი, რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს“.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ბრწყინვალედ დამთავრდა. მაშ გავწიოთ წინ ლენინ-სტალინის პარტიის ძლევამოსილი დროშით ახალი გმირული საქმეებისაკენ, კომუნიზმის ახალი დიადი გამარჯვებებისაკენ.

ყინულმჭრელ „სედოვის“ ყინულებიდან გამოყვანის ოპერაციების ხელმძღვანელი ი. დ. პაპანინი და ყინულმჭრელ „ი. სტალინის“ კაპიტანი ვ. ჯ. ბელოუსოვი. მურმანსკიდან რეისში გასვლის წინ.

ფოტო დებაბოვისა (საკდესის ფოტოკლიშე).

საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საოლქო (სამხრეთ-ოსეთი), საოლქო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებულ ცნობების მიხედვით, 1939 წლის 24 დეკემბერს საქართველოში ჩატარებულ არჩევნებში ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან—1.936.799 კაციდან—კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1.926.985 კაცმა ანუ ყველა ამომრჩეველთა 99,49 პროცენტმა.

სულ საქართველოში შექმნილი იყო მშრომელთა დეპუტატების ყველა ადგილობრივი საბჭოს არჩევნების 28.368 ოლქი.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებში არჩეულია 21.752 დეპუტატი, რომელთაც ხმა მისცა 1.336.985 კაცმა ანუ იმ ამომრჩეველთა 99,40 პროცენტმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში.

რაიონულ საბჭოებში არჩეულია 3.510 დეპუტატი, რომელთაც ხმა მისცა 1.451.532 კაცმა ანუ იმ ამომრჩეველთა 99,64 პროცენტმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში.

საქალაქო საბჭოებში არჩეულია 2.005 დეპუტატი. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულთ ხმა მისცა 601.592 კაცმა, რაც შეადგენს იმ ამომრჩეველთა 99.15 პროცენტს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში.

ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა იმ ამომრჩეველთა 98,86 პროცენტმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოში არჩეულია 56 დეპუტატი, რომელთაც ხმა მისცა 49.200 კაცმა ანუ იმ ამომრჩეველთა 99,43 პროცენტმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები ყველგან არჩეული აღმოჩნდნენ. (საქდესი).

ოლქებში, სადაც კენჭი იყარეს დიდმა სტალინმა და მისმა ერთგულმა თანამებრძოლებმა ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა და ლ. პ. ბერიამ

ლენინის რაიონის **№ 26** საარჩევნო უბანში შემავალ **№ 52** ოლქში თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყარა ხალხთა დიდმა ბელადმა **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა.** 24 დეკემბერს ნაშუადღევის ორი საათისათვის **№ 52** ოლქის ამომრჩეველთა მთელმა ასმა პროცენტმა მონაწილეობა მიიღო კენჭისყრაში. ბიულეტენი, რომელზედაც ეწერა მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის სახელი, სულ ჩაშვებული იყო 2.942 ცალი (იმათი ჩათვლით, ვინც ხმა მისცა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მოწმობის ძალით). ყველა ეს ბიულეტენი კანონიერად იქნა ცნობილი. ამხანაგი **სტალინის** კანდიდატურამ მიიღო 2.942 ხმა.

ცნობამ, რომ ამხანაგი **სტალინი** ერთხმად იქნა არჩეული მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, დამსწრეთა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია.

(საკდესი).

საოლქო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა მე-26 საუბნო კომისიის მიერ წარმოდგენილი საარჩევნო დოკუმენტები თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ამხანაგ **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის** კანდიდატურისათვის კენჭისყრის შესახებ. ბიულეტენების დათვლით გამოირკვა, რომ ამხანაგი **სტალინი**— საყოველთაო სახალხო რჩეული — ერთსულოვნად არის არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ცნობამ **№ 52** ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე იმის შესახებ, რომ დიდი **სტალინი** ერთსულოვნად არის არჩეული მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველ დეპუტატად, უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია.

კიროვის რაიონის **№ 19** საარჩევნო უბანში შემავალ **№ 349** ოლქში თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყარა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის კანდიდატურას. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამ ოლქის ამომრჩეველთა ასმა პროცენტმა. ნაშუადღევის 5 საათისათვის **№ 349** ოლქის ყველა ამომრჩეველმა მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი.

საოლქო საარჩევნო კომისიამ, შეამოწმა რა **№ 19** საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმი, გამოარკვია, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი **ვ. მ. მოლოტოვი** ერთსულოვნად არის არჩეული მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ნაშუადღევის ოთხი საათისათვის 26 კომისრის სახელობის რაიონის **№ 12** საარჩევნო უბნის **№ 247** ოლქის ამომრჩეველთა ასმა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში. ამ ოლქში თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყარა საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელმა ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ.** ნაშუადღევის 4 საათისათვის მთელი **№ 12** უბნის ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში.

25 დეკემბერს, დილით, **№ 247** საოლქო საარჩევნო კომისიამ, შეამოწმა რა **№ 12** საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმი, გამოარკვია, რომ ამხანაგი **ლ. პ. ბერია** ერთსულოვნად არის არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. (საქდესი).

ამხანაგი სტალინი
მთელი ხალხის მიერ არჩეულია

25 დეკემბერს სტალინის სახელობის ავტოქარხნის კულტურის სასახლეში შესდგა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების მე-753 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის სხდომა.

საოლქო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა მე-21 საუბნო კომისიის მიერ წარმოდგენილი საარჩევნო დოკუმენტები მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ამხანაგ **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის** კანდიდატურისათვის კენჭისყრის შესახებ. სიაში შეტანილმა 1929-ვე ამომრჩეველმა მონაწილეობა მიიღო კენჭისყრაში. ბიულეტენი, რომელზედაც ეწერა მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის სახელი, სულ ჩაშვებული იყო 2.942 ცალი (იმათი ჩათვლით, ვინც ხმა მისცა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მოწმობის ძალით). ყველა ეს ბიულეტენი კანონიერად იქნა ცნობილი. ამხანაგი **სტალინის** კანდიდატურამ მიიღო 2.942 ხმა.

ცნობამ, რომ ამხანაგი **სტალინი** ერთხმად იქნა არჩეული მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, დამსწრეთა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია.

(საკდესი).

ამხ. ვ. მ. მოლოტოვი
მოსკოვის საბჭოს დეპუტატია

მე-724 საარჩევნო ოლქში, სადაც მოსკოვის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი უყარეს ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვის** კანდიდატურას, 1.917 ამომრჩეველია. 24 დეკემბერს საღამოს 9 საათზე და 30 წუთზე კრასნაია პრესნის რაიონის **№ 62** საუბნო საარჩევნო კომისიაში ხმა მისცა სიაში შეტანილმა უკანასკნელმა ამომრჩეველმა. გარდა ამისა, ხმის მიცემის უფლების მოწმობის ძალით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 92 კაცმა.

25 დეკემბერს დილის 7 საათზე მოსკოვის საქალაქო საბჭოს არჩევნების **№ 724** საოლქო საარჩევნო კომისიამ ქარხანა „კრასნაია პრესნის“ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თანდასწრებით შეამოწმა **№ 62** საარჩევნო კომისიის ოქმი. საოლქო კომისიამ გამოარკვია, რომ ამხანაგი **მოლოტოვი** არჩეულია მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

25 დეკემბერს ხაღამოს 5 საათზე მე-724 ოლქის საარჩევნო კომისიის წევრებმა ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვს** გადასცეს მოწმობა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად მისი არჩევის შესახებ. (საკდესი).

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი დადგენილება

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი სესია 1939 წლის 28 დეკემბერს საღამოს 7 საათზე გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში (კომინტერნის ქ. № 5).

თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ი. კოჭლამაზაშვილი

თბილისის საქალაქო საბჭოს მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ი. ხუთაბური

„იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი“

(მოკლე ბიოგრაფია)

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე წივნად გამოსცა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მოკლე ბიოგრაფია, რომელიც მოამზადა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა.

წივნი ამ დღეებში გამოვა გასაყიდად. იგი გამოცემულია მასობრივი ტირაჟით — 1 მილიონი ეგზემპლარის რაოდენობით. (საკდესი).

ოპერაციული ცნობა
ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

26 დეკემბრის განმავლობაში სწარმოებდა მზვერავი ნაწილების მცირე შეტაკებანი და მთელ რიგ რაიონებში საარტილერიო ხროლა. ჩვენი ავიაცია საზვერავ ფრენას აწარმოებდა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წინასწარი შედეგები მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და მინსკში

ქალაქ მოსკოვში 2.905.764 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 2.900.133 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,81 პროცენტს შეადგენს. მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების ყველა 1.402 საარჩევნო ოლქში არჩეული არიან კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები.

სულ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 2.870.718 კაცმა, რაც კენჭისყრის მონაწილეთა 98,99 პროცენტს შეადგენს. (საკდესი).

ლენინგრადი, 25 დეკემბერი (საკდესი). ქალაქ ლენინგრადში 2.233.547 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 2.226.021 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,66 პროცენტს შეადგენს.

ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების ყველა 1.080 საარჩევნო ოლქში არჩეული არიან კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს სულ ხმა მისცა 2.199.232 კაცმა, რაც კენჭისყრის მონაწილეთა 98,82 პროცენტს შეადგენს.

კიევი, 25 დეკემბერი (საკდესი). ქალაქ კიევში 623.870 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 620.273 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,5 პროცენტს შეადგენს.

კიევის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების ყველა 847 საარჩევნო ოლქში არჩეული არიან კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები.

მინსკი, 25 დეკემბერი (საკდესი). ქალაქ მინსკში 136.424 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 136.386 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,97 პროცენტს შეადგენს.

მინსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში არჩეული არიან კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი— ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტები ლენინგრადის ბოლშევიკებისა და ლენინის ქალაქისა და ოლქის ყველა მშრომელთა სახელით თაყვანისმცემლობით დაბადების სამოცი წლისთავზე.

თქვენი სახელი, ამხანაგო სტალინ, არის ბოლშევიზმის გმირული ისტორიის, სამი რევოლუციის ქარცეცხლში გამოვლილი მუშათა კლასის უმაგალითო ბრძოლის სიმბოლო, სამოქალაქო ომის ფრონტებზე წითელი არმიის ლეგენდარულ გამარჯვებათა სიმბოლო, საბჭოთა ხალხის მორალურ - პოლიტიკური ერთიანობის სიმბოლო, ხალხისა, რომელმაც სოციალიზმის დიდებული შენობა ააგო.

თქვენი სახელოვანი რევოლუციური მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებიდანვე თქვენ ლენინთან ერთად მაღლა გეჭირათ ბოლშევიზმის ძლევამოსილი დროშა, პროლეტარიატის დიქტატურის დროშა.

ლენინთან ერთად თქვენ შეჰქმენით ახალი ტიპის პარტია, პარტია, რომელმაც მოამზადა პროლეტარიატი ბურჟუაზიასთან გადამწყვეტი ბრძოლებისათვის და რომელმაც მოაწყო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება.

ლენინთან ერთად თქვენ განამტკიცებდით ჩვენი პარტიის რკინისებურ ერთიანობას, დაუნდობლად ამხილებდით ყველა ჯურის ოპორტუნისტებს, რა ნიღბებიც არ უნდა ეფარებინათ მათ, შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდით მენშევიკების, ტროცკისტების, ბუხარინელებისა და საერთაშორისო რეფორმიზმის მთელი ხროვის წინააღმდეგ.

ლენინთან ერთად თქვენ ჰქმნიდით და განამტკიცებდით კომუნისტურ ინტერნაციონალს, აიარაღებდით საერთაშორისო პროლეტარიატს ბოლშევიზმის ყოვლისმძლე იდეებით.

როდესაც სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა ვ. ი. ლენინი, როდესაც პარტიამ, მუშათა კლასმა და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელმა დაჰკარგეს თავიანთი ბელადი და მასწავლებელი, თქვენ, ამხანაგო სტალინ, სათავეში ჩაუდექით ბოლშევიკების პარტიას, თამამად და გაბედულად წაიყვანეთ საბჭოთა ხალხი წინ ლენინის გზით კომუნიზმისაკენ.

ბოლშევიკების პარტიამ თქვენი ხელმძღვანელობით, ამხანაგო სტალინ, დასახა ბრძნული, გაბედული და ერთადერთი სწორი გზა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა, გზა, რომელმაც უზრუნველჰყო სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებებმა შეჰქმნეს რეალური შესაძლებლობანი იმისა, რომ გადაწყვეტილიყო პროლეტარული რევოლუციის ისტორიული ამოცანა, ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ, უძნელესი ამოცანა—კოლექტივიზაციის გზაზე, სოციალიზმის გზაზე მილიონობით წვრილ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანისა. სოფლის მეურნეობაში მოხდარმა რევოლუციამ, რომელიც პარტიამ თქვენი ინიციატივით ჩაატარა, ამხანაგო სტალინ, და რომელსაც მზარი დაუპირეს მილიონობით გლეხებმა, შესაძლებელი გახადა მოგვესპო ჩვენი ქვეყნის შიგნით კაპიტალიზმის რესტავრაციის უკანასკნელი წყაროები, უზრუნველჰყო ყველაზე საზიზღარი ექსპლოატატორული კლასის — კულაკობის ლიკვიდაცია და საბოლოოდ განამტკიცა საბჭოთა ხელისუფლება სოფლად.

ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებით ცხოვრობს მრავალმილიონიანი მძლავრი საბჭოთა ხალხი, ხალხი შემქმნელი, ხალხი შემოქმედი.

გამარჯვებული სოციალიზმის „ქებათა-ქებაა“ გაისმის მთელს მსოფლიოში სტალინური კონსტიტუცია — ჩვენი ეპოქის ეს უდიადესი დოკუმენტი. სსრ კავშირის კონსტიტუცია არის იმ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა შეჯამება, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს.

თქვენ ამდიდრებთ მარქსიზმ-ლენინიზმს და წინ მიგყავთ მარქსისტულ-ლენინური თეორია ფილოსოფიის, ისტორიის დარგში, სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებაში, ნაციონალური საკითხში და რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის საკითხებში.

შემდგომ განავითარეთ რა ლენინის მოძღვრება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ, თქვენ, ამხანაგო სტალინ, გენიალური შორსმჭვრეტელობით დასახეთ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის გზები.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ — თეორიული აზროვნების ეს შესანიშნავი ქმნილება, რომელიც თქვენი უახლოესი მონაწილეობით არის შექმნილი, ჩვენი კადრების პოლიტიკური აღზრდის უძვირფასეს იარაღს აძლევს პარტიას. თქვენი გენიალური შრომით „ლენინიზმის საკითხებით“ და „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსით“ იზრდებიან კომუნიზმის სულისკვეთებით მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელნი.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! ლენინგრადელები სიამაყით იგონებენ იმ დროს, როდესაც პიტერის პროლეტარიატმა თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით იერიში მიიტანა კაპიტალიზმზე და გამარჯვება მოიპოვა 1917 წლის ოქტომბერში.

ჩვენი სამშობლოსათვის მძიმე განსაცდელის დღეებში, როდესაც მტერი ზედ ლენინგრადის მისასვლელებთან იდგა, თქვენ სათავეში ჩაუდექით ჩვენი ქალაქის თავდაცვას და უზრუნველჰყავით იუდენიჩის თეთრგვარდიული ბანდებისა და უცხოელ ინტერვენტთა განადგურება.

ჩვენი გული აღსავსეა უდიდესი მადლობით თქვენდამი, ამხანაგო სტალინ, იმისათვის, რომ თქვენ მამობრივად ზრუნავთ ლენინგრადის მშრომელთათვის, ზრუნავთ ლენინის ქალაქის აყვავებისათვის, მისი ინდუსტრიის განვითარებისათვის, ლენინგრადელთა მშვიდობიანი შრომის დაცვისათვის. თქვენმა ბრძნულმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო ლენინის ქალაქის — პროლეტარული რევოლუციის აკვნის უშიშროება. ლენინგრადის სამხედრო ოლქის მამაცი მებრძოლნი და ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მეზღვაურნი, რომელნიც დახმარებას უწევენ ფინელ ხალხს მის ბრძოლაში ომის გათავხედებულ გამბრაზებელთა ბანდის წინააღმდეგ,—პირნათლად და სასახელოდ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! თქვენი დაბადების 60 წლისთავზე მთელი საბჭოთა ხალხი გისურვებს თქვენ მხნეობასა და ჯანმრთელობას, ყოველივე, რაც კი საუკეთესო მოიპოვება საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, მისი სიხარული და გამარჯვებანი, მისი განხორციელებული ოცნებანი და იმედები—ყოველივე ეს ხომ თქვენს სახელთან არის დაკავშირებული.

თქვენი სახელი, ამხანაგო სტალინ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის დროშაა. სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი ჰქმნიან და გმირობას სჩადიან მრეწველობისა და სოციალისტური მინდვრების სტახანოველები, თქვენი სახელი არის საბჭოთა ხალხის იმ გამარჯვებათა ცოცხალი განსახიერება, რომლებიც მას მოპოვებული აქვს მეცნიერებაში, კულტურაში, ხელოვნებაში. სტალინი არის ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ხალხთა ძმური თანამეგობრობის განსახიერება. სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი მიდიან ბრძოლაში და ანადგურებენ მტერს სოციალისტური სამშობლოს თავდადებული პატრიოტე-ი — მუშურ-გლეხური წითელი არმიის მამაცი მეომრები. სტალინის სახელი კომუნიზმის მომავალ გამარჯვებათა სიმბოლოა.

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას!

იცოცხლეთ და ჯანმრთელად იყავით მრავალი და მრავალი წლის განმავლობაში, ჩვენო მამავ, ბელადო და მასწავლებელო, ჩვენო მშობლიურო **სტალინ!**

საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტი და საქალაქო კომიტეტი

ვიბორგის მხარეზე

ლენინგრადი, 25 დეკემბერი (საკდესი). ლამაზად გამოიყურება სადღესასწაულოდ მორთული ლენინგრადი, დიდი ქალაქი, სადაც ამომრჩყინდა საბჭოების მზე, ქალაქი — ბოლშევიზმის ციტადელი, რევოლუციური ბრძოლებისა და ბარიკადების ქალაქი, სოციალისტური ინდუსტრიის არსენალი, კულტურისა და მეცნიერების ქალაქი.

ვიბორგის მხარე. სტალინური ხუთწლედების გმირი ქარხნების სამშობლო, შემხვედრი გეგმისა და სოციალისტური შეჯიბრების სამშობლო.

გუშინ ვიბორგის მხარეზე ირჩევდნენ ლენინგრადის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად ამხანაგ **ი. ზ. სტალინს, ვ. მ. მოლოტოვსა** და **ა. ა. ჟდანოვს.**

ლენინგრადის საქალაქო საბჭოს არჩევნების **№ 332** ოლქის ამომრჩევლებმა ხმა მისცეს სოციალიზმის ქვეყნის მესაჭეს — მშობლიურ **სტალინს.**

საღამოს 10 საათისათვის იმ ოლქში, რომელშიც კენჭს უყრიდნენ ამხ

ორგანო საქართველოს მწერალთა კავშირისა, ილიას ფონდისა და ლიტერატურული ფონდისა

მთავარი რედაქტორი
ნოდარ ჩხეიძე

ოთხშაბათ-ხუთშაბათის ღამეს ბედნიერად დაიბადა ბიჭი — 52
ვაჟიშვილის მოფიცრის მეგობრებმა ამის გამო ბანკეტი გამართეს — 349
ბანკეტის ბოლოს ბიჭის მამა ავადმყოფობის გამო ადგილიდან ვერ წამოდგა — 247
ბანკეტის ბოლოს ბიჭის მამა ავადმყოფობის გამო ადგილიდან ვერ წამოდგა — 1
ბანკეტის ბოლოს ბიჭის მამა ავადმყოფობის გამო ადგილიდან ვერ წამოდგა — 2
ბანკეტის ბოლოს ბიჭის მამა ავადმყოფობის გამო ადგილიდან ვერ წამოდგა — 3
ბანკეტის ბოლოს ბიჭის მამა ავადმყოფობის გამო ადგილიდან ვერ წამოდგა —

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ

(ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ)

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ	ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ		
ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ	ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ		
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ	ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ		
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ	ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ		
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ	ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ 1940 ԹՎԱԿԱՆԻ ՊԵՏԱԿԱՆ ԲՅՈՒՋԵԻ ՆԱԽԱԳԻԾԸ

1939 Թվականի նոյեմբերի 14 նիստին

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԺՈՂՈՎՐԴԱԿԱՆ ՏՆՏԵՍՈՒԹՅԱՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ

ՀՀ-2 ՌՌՆԳԱՅԻՆ-ՊՐՈՄԱՅԻՆ ՀՈՒՆՎԱՐԻ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԺՈՂՈՎՐԴԱԿԱՆ ՏՆՏԵՍՈՒԹՅԱՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ՀՐԱՄԱՆՈՎ

Հ Ր Ա Մ Ա Յ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԱՇԽԱՏԱՎՈՐ ԺՈՂՈՎՐԴԻ ՄԱՐՄՆԻ ՀԱՄԱՐ ՀԱՏՈՒԿ ՎԱՐՁԱՏՐՈՒԹՅԱՆ ՄԱՍԻՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԱՇԽԱՏԱՎՈՐ ԺՈՂՈՎՐԴԻ ՄԱՐՄՆԻ ՀԱՄԱՐ ՀԱՏՈՒԿ ՎԱՐՁԱՏՐՈՒԹՅԱՆ ՄԱՍԻՆ

Հայկական Սովետական Հանրապետության աշխատավոր ժողովրդի մարմնի համար հատուկ վարձատրության մասին Հայկական Սովետական Հանրապետության Ժողովրդական Տնտեսության Նախարարության հրամանով հաստատված կանոնադրությունը տպագրության է հանձնվել 1939 թվականի նոյեմբերի 15-ին։ Կանոնադրությունը կհրատարակվի առանձին գրքույկով։

Հայկական Սովետական Հանրապետության Ժողովրդական Տնտեսության Նախարարության հրամանով հաստատված կանոնադրությունը տպագրության է հանձնվել 1939 թվականի նոյեմբերի 15-ին։ Կանոնադրությունը կհրատարակվի առանձին գրքույկով։

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀՈՂԱՅԻՆ ՀԱՐԿԻ ՄԱՍԻՆ

**ՀՀ